EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ოქტომბერი 2010 №10 (22)



საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავების მიზნით მოლაპარაკებები გაიმართა

2010 წლის 11 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში გაიმართა მოლაპარაკებების მეორე პლენარული სესია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავების მიზნით. პირველი პლენარული სესია გაიმართა ა.წ. 15 ივლისს ქ. ბათუმში, როდესაც აღნიშნულ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დარგში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ბარონესა ქეთრინ ეშტონის მიერ.

მეორე პლენარულ სესიაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სამსახურის წარმომადგენლები. ევროპულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილე იუგ მინგარელი.

აღნიშნული შეხვედრა დაეთმო ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა პოლიტიკური დიალოგი და ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობა, ასევე სამართალი და საშინაო საქმეები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავების მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებზეც.

წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12921

საქართველოს რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურის ინსტიტუციონალურ განვითარებას ევროკავშირი ეხმარება

საქართველოს რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურის ინსტიტუციონალური გაძლიერების მიზნით ევროკავშირი 2011-2013 წლებში 30.86 მილიონ ევროს გამოყოფს.

1 ოქტომბერს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა პერ ეკლუნდმა ხელი მოაწერეს შესაბამის მემორანდუმს, რომელიც "ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის" განხორციელებას ითვალისწინებს.

პროგრამის მიზანია იმ სახელმწიფო სტრუქტურების დახმარება, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების პროცესში. კერძოდ: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, სტანდარტების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, კონტროლის პალატა, პარლამენტი და სახალხო დამცველის აპარატი.

ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები 15-16 ივლისს საქართველოში საგარეო ურთიერთობებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის ვიზიტის დროს დაიწყო.

"საღემარკაციო სამუშაოებთან" დაკავშირებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში განცხადება გაკეთდა

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე ხუთიდან ოთხ სოფელში "საზღვრის დემარკაციასთან" დაკავშირებული რაიმე სამუშაოები ვერ გამოავლინა.

29 სექტემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსული ძალები სეპარატისტულ რეგიონში „უკანონო 'საზღვრის სადემარკაციო სამუშაოებს" ახორციელებდნენ შიდა ქართლში, კონკრეტულად კი სოფლებში ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, დიცი, არბო და ქორდი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ 1 ოქტომბერს გაკეთებული განცხადებით: "ამ დროისათვის დიცში, ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს სადამკვირვებლო ჯგუფებმა მიწაში ჩამაგრებული 4 თვითნაკეთი ფოლადის ნიშნული აღმოაჩინეს, მაგრამ ვერ შეძლეს სხვა ადგილებში "სადემარკაციო" საქმიანობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებების პოვნა. სიტუაცია კვლავ მისიის მეთვალყურეობის ქვეშ რჩება,"

პარალელურად, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ცხინვალი სადემარკაციო სამუშაოებს ახორციელებს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის საბჭოთა დროინდელი საზღვრების ფარგლებში. თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ რეგიონში განთავსებულ რუსულ ძალებს ამ სამუშაოებთან არაფერი აქვთ საერთო.

ევროპის საბჭოში საქართველოს შესახებ წინასწარი ანგარიში განიხილეს

ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე, ევროპელი დეპუტატების მიერ საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობა დადებითად შეფასდა. აღნიშნულ მოხსენებას ზამთრის ან გაზაფხულის სესიაზე განიხილავენ. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებებზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

ოქტომბრის დაიჯესტი

მერკელის თქმით, გერმანიის მულტიკულტურულმა საზოგადოებამ ქრახი განიცადა.

იმიგრაციის საკითხი და მისი გადაჭრის მეთოდების ძიება, დღეისათვის ძალზე მწვავედ დგას გერმანიის ხელისუფალთა წინაშე. ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა აღიარა, რომ ქვეყანაში მულტიკულტურული საზოგადოების მშენებლობა წარუმატებელი გამოდგა

ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა აგვისტოში, ქვეყნის ცენტრალური ბანკის წევრის, თილო სარაზინის მიერ გამოთქმული აზრის შემდეგ მიიღო. კერძოდ, რაც უფრო იზრდება გერმანიაში ნაკლებად განათლებული ჩადრიანი მუსულმანების რიცხვი, მით უფრო კლებულობს ქვეყნის განვითარების დონე. ამ მოსაზრებას გერმანიაში მრავალი მხარდამჭერი აღმოაჩნდა. გერმანიის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის, ჰანს ჰაინრიხ დრიფტმანის განცხადებით, ქვეყანას სასწრაფოდ ესაჭიროება 400000-მდე ინჟინერი და კვალიფიცირებული მუშაკი, ეს დეფიციტი კი მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლას. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გერმანელთა ერთი მესამედი თვლის, რომ ქვეყანაში ძალიან „მომრავლდნენ უცხოელები", მოქალაქეთა ამავე მაჩვენებელს მიაჩნია რომ უნდა მოხდეს ამ იმიგრანტების სამშობლოში დაბრუნება.

თურქეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას, გერმანიის კანცლერმა ხაზი გაუსვა ამჟამად გერმანიაში მცხოვრები 2.5 მილიონი თურქისა და სხვა ეროვნების იმიგრანტთა გერმანულ საზოგადოებაში სრული ენობრივი და კულტურული ინტეგრაციის აუცილებლობას.

„გაზპრომის" გაფრთხილება ევროკავშირს ჩინეთთან მესაძრო თანამშრომლობის შესახებ.

14 ოქტომბერს, ევროკავშირის საყურადღებოდ „გაზპრომმა" განაცხადა, რომ ბუნებრივი აირის ინდუსტრიაში რეფორმების გატარებამ შესაძლოა გამოიწვიოს რუსული გაზის აზიისათვის მიწოდების გაზრდა და შესაბამისად ევროპისათვის უწყვეტი მომარაგების შეფერხება.

გაზის სამხრეთის კორიდორის ამუშავება და ამ თვალსაზრისით მოქმედი და მომავალი მილსადენის პროექტები, როგორიცაა ნაბუკო, ტრანს-ადრიატიკული მილსადენი, თურქეთი-საბერძნეთი-იტალიის და აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი მილსადენები, საფრთხეს უქმნის „გაზპრომის" ლიდერობას ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხში.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მილსადენები ღიაა ყველა მსურველი კომპანიისათვის, რაც თავისმხრივ არყევს „გაზპრომის" როგორც დომინანტი მომწოდებლის პოზიციებს. ევროკავშირი მიზნად ისახავს ისეთი ენერგოპოლიტიკის შემოღებას, რომლის მიზანიც იქნება მოულოდნელი ენერგო კრიზისების თავიდან აცილება და ენერგო ბაზარზე კონკურენციის გაზრდა.

„გაზპრომის" თქმით, ზემოთაღნიშნული პოლიტიკა, მომწოდებელს უქმნის გარკვეულ რისკს, კერძოდ კონკურენციის ზრდა გამოიწვევს ფასების ვარდნას და მისი ყურადღების გადატანას სხვა უფრო მიმზიდველ, კერძოდ კი აზიის ბაზრებზე.

ერდოღანი ევროპას მოუნოდებს, ხელი არ მეუბაროს თურქეთის სახელმწიფოს ევროკავშირში განევრიანების პროცესს

თურქეთის პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ეს განცხადება ბერლინში, გერმანიის კანცლერ, ანგელა მერკელთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთი და გერმანია თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას აქტიურად ეწინააღმდეგებიან. ამ დროისათვის, ევროპის კომისია, რომელიც სწავლობს თურქეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, საბოლოო ანგარიშზე ასრულებს მუშაობას.

ფამაგუსტა გასაღები კვიპროსის გაერთიანებისათვის.

კვიპროსის გაერთიანების პრობლემა დღეს-დღეობით წარმოადგენს თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ყველაზე რთულად გადასაწყვეტ საკითხს. მიუხედავად გაეროს არაერთი მცდელობისა, მოლაპარაკების მაგიდასთან თავი მოეყარა ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპროსის წარმომადგენელთათვის, კუნძული 1974 წლიდან დღემდე რჩება ორად გაყოფილი. 2004 წლის აპრილში კვიპროსის მიერ უარყოფილ იქნა 1992 წელს გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მიერ შემოთავაზებული გაერთიანების გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა ორ ნაწილად გაყოფილი ფედერაციის შექმნას მონაცვლეობითი საპრეზიდენტო მმართველობით. აღნიშნული გეგმის წარუმატებლობიდან გამომდინარე, ევროკავშირის ხელისუფალთა უკმაყოფილების მიუხედავად, 2004 წლის მაისში ბერძენი კვიპროსელების მიერ კონტროლირებადი „კვიპროსის რესპუბლიკა" გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. მომდევნო წელს, კვლავ ევროკავშირის ძალისხმევით განახლდა მოლაპარაკებების პროცესი, რომლის ფარგლებშიც თურქეთმა გააგრძელა 1963 წლის ხელშეკრულება ევროკავშირში ახლად გაწევრიანებული ათი სახელმწიფოს გათვალისწინებით. მათ რიცხვში შედიოდა კვიპროსის რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა არ არის აღიარებული თურქეთის მიერ.

მოლაპარაკებებში თურქეთის მთავარი წარმომადგენლის — ეგემენ ბაგისის თქმით, ერკანის (ჩრდილოეთ კვიპროსი) აეროპორტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი გამოყენება ესპანური, ფრანგული, გერმანული და ჰოლანდიური თვითმფრინავების მიერ და ამასთან შესაძლებელი იქნება ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების გემების დატვირთვა ჩრდილოეთ კვიპროსში.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა სრულიად მოწყვეტილია ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობებს. პრეზიდენტმა დემეტრის კრისტოფიასმა ევროპარლამენტის პრეზიდენტ ბუზეკთან შეხვედრისას გამოთქვა მოსაზრება, რომ თურქეთის მიერ ქალაქ ფამაგუსტაში არსებული ვაროშას რაიონის გაეროსათვის დაბრუნება და ამგვარი ქმედების შედეგად ფამაგუსტას პორტის ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობებისათვის გახსნა, შესაძლოა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან გასაღებს კვიპროსის გაერთიანების საკითხის გადაწყვეტაში.

ამერიკის მეერთებული შტატების სურვილია ევროკავშირმა მეტი თანხა გამოყოს თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხებისათვის.

14 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა ნატოს 28 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა. მის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალიწინება იგეგმება 19-20 ნოემბერს ლისაბონის სამიტზე, რომლის მთავარი მიზანია ალიანსის 1999 წელს მიღებული სამოქმედო გეგმის ახლით ჩანაცვლება. მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისის

გათვალისწინებით, ევროპის ქვეყნებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს თავდაცვის სფეროში საბიუჯეტო ხარჯების შემცირება. აღნიშნული ფაქტი საგანგაშო აღმოჩნდა ოფიციალური ვაშინგტონისთვის; აშშ-ს თავდაცვის მდივნის, რობერტ გეიტსის განცხადებით, მომხდარი წარმოადგენს დამაფიქრებელ ფაქტს. ვინაიდან, მსგავსი საბიუჯეტო შემცირებების შედეგად ექსტრემალურ სიტუაციებში კიდევ უფრო გაიზრდება დატვირთვა ამერიკულ ჯარზე. ნატოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრუსელში შეხვედრისას იმსჯელეს ხარჯის შემცირების შესაძლო ვარიანტებზეც და ერთ-ერთ გზად დაასახელეს ნატოს საგენტოების რიცხვობრივი შემცირება. გეიტსმა აგრეთვე მოუწოდა ევროპელ მოკავშირეებს მოახდინონ დაზოგილი სახსრების ინვესტირება სარაკეტო სისტემებისაგან და საგზაო ნაღმებისგან თავდაცვითი ტექნიკის წარმოებაში. წარმოდგენილი სფეროს აქტუალურობა და მასში 10 წლის ვადით 200 მილიონი ევროს ინვესტირება, იქნება ერთ-ერთი განსახილველი საკითხი ლისაბონის მომავალ სამიტზე. არსანიშნავია, რომ სამიტზე აგრეთვე მოწვეულია რუსეთის წარმომადგენლობა, თუმცა ჯერ გაურკვეველია მიიღებს თუ არა რუსეთი მასში მონაწილეობას.

მონტენეგროს უახლოეს მომავალში ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების იმედი აქვს.

2006 წლის მაისში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგის საფუძველზე მოხდა სერბეთისაგან მონტენეგროს, როგორც დამოუკიდებელი სახელწიფოს გამოყოფა. ქვეყნის პრემიერ მინისტრის განცხადებით, მას მერე რაც ევროკომისია წარმოადგენს შესაბამის დასკვნას სახელმწიფოს მზადყოფნის შესახებ მონტენეგრო აპირებს აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ითვლება ტრეფიკინგისა და ფულის გათეთრების ერთ-ერთ აქტიურ კერად, მონტენეგროს პრემიერ მინისტრის, მილო დჯუკანოვის განცხადებით, გამომდინარე იმ წარმატებიდან რომელსაც სახელწიფომ მიაღწია გატარებული ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების შედეგად, ქვეყანა იმსახურებს კანდიდატის სტატუსის მიღებას. დჯუკანოვმა აგრეთვე გამოთქვა იმედი, რომ მაკედონიის მსგავსად, ევროკომისიის დასკვნასთან ერთად მონტენეგრო მალევე მიიღებს თანხმობას ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

ევროსტატისტიკა

სტატისტიკური მონაცემები ევროკავშირში მოსახლეობის მიერ უცხო ენების ცოდნის შესახებ

ყოველწლიურად 26 სექტემბერს ევროკავშირში ენების ევროპული დღე აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირის სტატისტიკურმა ოფისმა სკოლის მოსწავლეებში უცხო ენის შესწავლის შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა. კვლევის ძირითად მიზანს, მოსახლეობაში უცხო ენების შესწავლის და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ 2008 წელს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა 79% და მეორადი საფეხურის განათლების 83% სწავლობს უცხო ენას. განათლების ორივე საფეხურზე, პირველ უცხო ენად ინგლისური შეისწავლებოდა. მეორე უცხო ენად ყველაზე გავრცელებულად ფრანგული და გერმანული დასახელდა.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში დაწყებით სკოლაში უცხო ენის შესწავლის დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა. კერძოდ, ლუქსემბურგის და შვედეთის დაწყებითი კლასის მოსწავლეების 100% შეისწავლის უცხო ენას, ასევე მაღალია ეს რიცხვი იტალიასა (99%) და ესპანეთში (98%). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ირლანდიაში (3%), ჰოლანდიასა (32%) და უნგრეთში (33%).

ჩეხეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ფინეთსა და შვედეთში განათლების მეორე საფეხურზე მყოფი თითქმის ყველა მოსწავლე სწავლობს უცხო ენას. ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. იქ შესაბამისად, მოსწავლეების მხოლოდ 32% და 58% შეისწავლის უცხო ენას. ზოგიერთ ქვეყანაში, მოსწავლეთა 80%-ზე მეტი მეორე უცხო ენასაც ეუფლება, კერძოდ ფინეთში 92%, ჰოლანდიაში 86%, რუმინეთში 83%.

2007 წელს 25-64 წლის ასაკის მოსახლეობაში ჩატარებულ გამოკითხვაში, კითხვაზე თუ როგორ დაახასიათებთ უცხო ენის ცოდნის დონეს, მხოლოდ 13% აღნიშნა, რომ თავისუფლად ფლობს მას, 16% კარგად, 30% საწყის დონეზე და 38% საერთოდ არ ფლობს უცხო ენას. გამოკითხულთა უმრავლესობამ ყველაზე კარგად ინგლისური ენა იცოდა. უცხო ენის თავისუფლად ფლობის დონის მიხედვით გამოირჩეოდა ლატვიის (55%), სლოვენიის (45%) სლოვაკეთის (44%) მოსახლეობა. შედარებით დაბალი რიცხვი (10%) საფრანგეთში, რუმინეთში, უნგრეთში, იტალიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, დიდ ბრიტანეთსა და ჩეხეთში დაფიქსირდა. უცხო ენის კარგად ფლობის თვალსაზრისით ლიდერობდა შვედეთის (40%) ესტონეთის (33%), სლოვენიის (33%), ფინეთის (32%), კვიპროსის (32%) მოსახლეობა. ამ მხრივ ბოლო ადგილზე რუმინეთის, უნგრეთის და ბულგარეთის 10%იანი მაჩვენებელი იყო.

eurostat

ევრო პაიჭრა

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. "ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3, N4, N9) დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ერასმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამა კომპიუტერული მოდელირებები მეცნიერებისა და საინჟინრო ტექნოლოგიებისთვის

ერასმუს მუნდუსის ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში მინიმუმ ბაკალავრის ხარისხის მფლობელ სტუდენტებს სთავაზობს ორწლიანი სამაგისტრო კურსის გავლას და მაგისტრის ორმაგი ხარისხის მოპოვებას სპეციალობაში "კომპიუტერული მოდელირებები მეცნიერებისა და საინჟინრო ტექნოლოგიებისთვის". პროგრამის მონაწილე სტუდენტი სამაგისტრო სასწავლო კურსის პირველ წელს გაივლის პროგრამაში მონაწილე 4 უმაღლესი სასწავლებლიდან ერთ-ერთ, ხოლო მეორე წელს სხვა უმაღლეს სასწავლებელში, რის შედეგადაც მოიპოვებს მაგისტრის ორმაგ ხარისხს.

პროგრამაში მონაწილე უნივერსიტეტებია: შვედეთის ტექნოლოგიების სამეფო ინსტიტუტი (KTH) ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, ნიდერლანდების დელტის ტექნიკური უნივერსიტეტი და გერმანიის ერლანგენ-ნიურნბერგის ფრიდრიხ ალექსანდერის უნივერსიტეტი. სავალდებულოა, სტუდენტმა სასწავლო კურსი გაიაროს ჩამოთვლილთაგან 2 უმაღლეს სასწავლებელში მაინც.

პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია ე.წ. A კატეგორიის სტიპენდიების მიკუთვნება, რომლებითაც ანაზღაურდება:

1. მგზავრობისა და დაბინავების ხარჯები 2 წლის განმავლობაში 8000 ევროს ოდენობით;
2. მონაწილეობის ხარჯები (დაზღვევის ჩათვლით) სემესტრულად 2000 ევროს ოდენობით;
3. ყოველთვიური სტიპენდია 1000 ევროს ოდენობით.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა, რომელთაც წარსულში არ უსარგებლიათ ერასმუს მუნდუსის სასტიპენდიო პროგრამით, ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ბაკალავრის დიპლომის დამოწმებული ასლი მშობლიურ ენაზე ინგლისურ თარგმანთან ერთად;
- მშობლიურ უნივერსიტეტში გავლილი ყველა სასწავლო კურსის დასახელება თითოეულში მიღებულ შეფასებებთან ერთად (ნიშნების სრული ფურცლის დამოწმებული ასლი მშობლიურ ენაზე ინგლისური თარგმანითურთ);
- ინგლისური ენის სრულფასოვნად ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- არსებობის შემთხვევაში მაგისტრატურაში ჩასაბარებლად სავალდებულო გამოცდაში მიღებული შეფასებები (კომპიუტერული მეცნიერებებისა ან მათემატიკის მიმართულებით);
- აკადემიური მოღვაწეობის სრული აღწერის შემცველი რეზიუმე (CV);
- სრულყოფილი სამოტივაციო წერილი, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რატომ ირჩევს სტუდენტი კონკრეტულ სასწავლო კურსს, დასამუშავებელი სამაგისტრო ნაშრომის მოკლე აღწერა და ა.შ.;
- პირადობის მოწმობის ასლი ინგლისურ ენაზე;
- ორი სარეკომენდაციო წერილი უმაღლესი სასწავლებლის ორი პროფესორისგან.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 30 ნოემბერი.

ერასმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამა "ტყის და ბუნების მდგრადი მართვა"

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტებისათვის ცხადდება ერასმუს მუნდუსის ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა „ტყისა და ბუნების მდგრადი მართვა".

პროგრამაში მონაწილეობს ხუთი ევროპული უნივერსიტეტი:

- დანიის კოპენჰაგენის უნივერსიტეტი;
- ბანგორის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);
- გერმანიის გოტინგენის უნივერსიტეტი;
- სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა შვედური უნივერსიტეტი;
- იტალიის პადოვას უნივერსიტეტი.

მოცემული ორწლიანი პროგრამის პირველ სასწავლო წელს სტუდენტები გაივლიან ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო მეორე წელს დარჩენილი ოთხი სასწავლებლიდან რომელიმეში. სწავლის დასრულების შემდგომ მიენიჭებათ მაგისტრის ორმაგი ხარისხი.

პროგრამის ფარგლებში ე.წ "მესამე ქვეყნების" (ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არ არიან) სტუდენტებისათვის გამოყოფილია დაახლოებით 20 სტიპენდია, მთლიანობაში 48.000 ევროს ოდენობით.

მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეთ გავლილი 12 თვეზე მეტი ხანგრძლივობის სასწავლო კურსი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ქვეყანაში.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 1 დეკემბერი ბერლინის სამხარეო პარლამენტის სტიპენდიები სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისათვის

სტიპენდია განკუთვნილია ბერლინთან და ზოგადად გერმანიასთან დაკავშირებული საკითხების მკვლევართათვის. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და განახორციელონ კვლევა გერმანიაში. პროგრამის პარტნიორები არიან: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებსაც მოპოვებული აქვთ მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში.

სტუდენტებისთვის მინიმალური ასაკი არის 25 წელი, დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერთათვის კი - 35 წელი. სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია შეადგენს საშუალოდ 770 ევროს, მეცნიერებისთვის კი - 1300 ევროს. მათ დამატებით აუნაზღაურდებათ მგზავრობისა და საცოხვრებლის ხარჯები.

პროგრამის ხანგრძლივობა ერთი აკადემიური წელი - 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

განაცხადისთვის კანდიდატებმა გერმანულ ენაზე უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- ტაბელარული ბიოგრაფია ფოტოსურათთან ერთად;
- დაგეგმილი კვლევის დეტალური აღწერა;
- ბერლინის უნივერსიტეტთან ან კვლევით დაწესებულებასთან (რომელშიც დაგეგმილია კვლევის განხორციელება) კონტაქტის დამადასტურებელი კორესპონდეციის ასლი;
- ორი სარეკომენდაციო წერილი პროფესორებისგან, რომლებსაც შეუძლიათ კანდიდატის სამეცნიერო უნარ-ჩვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სკოლის ატესტატის ასლი (ნიშნების ფურცელთან ერთად);
- დიპლომის ასლი (ნიშნების ფურცელთან ერთად);
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა.

ნიშნების ფურცლებს სასურველია თან დაერთოს შეფასების სისტემის ახსნა-განმარტება.

ოფიციალური დოკუმენტები ინგლისურ ან გერმანულ ენებზე უნდა ითარგმნოს.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 15 დეკემბერი, 2010.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11

გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ 28 13 29

euinfocentre@parliament.ge

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნოდარზე მუშაობდნენ: თეა ცარიელაშვილი, ირინა სერსვაძე, ქეთი ჩეგია, თამარ ჭელიძე, ქეთევან გუნიავა

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge